ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

N 47 1126
20/07/2017

1126-47-4-201707201726

ტყიბულის მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის სახელოსნოს (დამხმარე) შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოთა ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის დირექტორის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ვერ მოესწრო დემონტაჟის სამუშაოების შესრულება და ითხოვს ვადის გაგრძელებას.

საქართველო მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" თავი XI 57-ე მუხლის შესაბამისად ობიექტი ექვემდებარება ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუგრძელდეს სადემონტაჟო სამუშაოების ვადა ტყიბულის მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის (დამხმარე) შენობა-ნაგებობებს.
2. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 1 ნოემბერი.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს (ს. უგრეხელიძე).
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის ან გამოქვეყნების დღეს.

რობიზონ გვეტაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი